FREE NETWORK 🇺🇦 POLICY BRIEF SERIES #AcademicsStandWithUkraine

გიორგი პაპავა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ლევან თევდორაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ნოემბერი, 2023

საქართველოში რუსული ბიზნეს მფლობელობის ფაქტორით გამოწვეული რისკების კვლევა

წინამდებარე მიმოხილვა ეხება საქართველოში რუსული ბიზნეს მფლობელობის ფაქტორით გამოწვეულ რისკებს. რუსეთის მიერ ბიზნეს აქტივების ფლობა კრიტიკული მნიშვნელობის სექტორებში, როგორებიცაა, მაგალითად, ელექტროენერგია და კომუნიკაციები, საქართველოს აყენებს პოლიტიკური ზეგავლენის, კორუფციის, ეკონომიკური მანიპულაციის, ჯაშუშობის და სანქციების დაწესების რისკის ქვეშ. აღნიშნული რისკების შესამცირებლად რეკომენდებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შემოწმდება რუსეთიდან შემომავალი ინვესტიციები საქართველოში; აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რუსულ ბიზნეს მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები განიხილებოდეს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ დოკუმენტებში და დაჩქარდეს კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის რეფორმა.

ქართულ ეკონომიკაში რუსული ბიზნეს მფლობელობის სექტორული ანალიზი

საქართველოში რუსული ბიზნეს მფლობელობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) დეტალურად შეისწავლა ქართული ეკონომიკის რვა სექტორში დაგროვილი რუსული კაპიტალი. ეს სექტორებია: ელექტროენერგია, ნავთობი და ბუნებრივი აირი, კომუნიკაციები, საბანკო სექტორი, სამთო მოპოვება და მინერალური წყლები, მშენებლობა, ტურიზმი და ტრანსპორტი და სახმელეთო გადაზიდვები. აღნიშნულ მოკვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე პრობლემურია ელექტროენერგიის სექტორში გამოვლენილი რუსული კავშირები. გარდა ამისა, საყურადღებოა ნავთობისა და ბუნებრივი აირის, კომუნიკაციების და სამთო მოპოვებისა და მინერალური წყლების სექტორებში არსებული რუსული კავშირების ხარისხი. IDFI-ს მოკვლევის მიხედვით, დანარჩენ შესწავლილ სექტორებში რუსული ბიზნეს კავშირების ხარისხი ან უმნიშვნელოა, ან არ არსებობს (IDFI, 2023). **1-ელი გრაფიკი** აჯამებს შესწავლილ სექტორებში რუსული ბიზნეს მფლობელობის განსაკუთრებულად მწვავე და საყურადღებო მაჩვენებლებს.

რუსეთი მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს საქართველოზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარე იქიდან, რომ მას სამხედრო ძალით მიტაცებული აქვს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20% – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. გარდა ამისა, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი იყენებს ჰიბრიდული იარაღების მთელ რიგს: ეწევა დეზინფორმაციას, მხარს უჭერს საქართველოში არსებულ პრორუსულ პოლიტიკურ პარტიებსა და მედია საშუალებებს, უწესებს მას სავაჭრო შეზღუდვებს, სატრანსპორტო ბლოკადას, გეგმავს დივერსიას და ა.შ. რუსეთის ეს ტაქტიკა მიზნად ისახავს საქართველოს განვითარების შეფერხებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებულ პროდასავლურ განწყობებზე (Seskuria, 2021 და Kavtaradze, 2023).

ფაქტორები, რომლებიც ზრდის საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას რუსეთზე შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: რუსეთთან ვაჭრობა, რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები, რუსი მიგრანტების ბოლოდროინდელი შემოდინებით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობა და რუსული ორგანიზაციების ან რუსეთის მოქალაქეების მიერ კერძო ბიზნესების ფლობა საქართველოში (Babych, 2023 და Transparency International, 2023). წინამდებარე დოკუმენტი იკვლევს ამ უკანასკნელ ფაქტორთან – საქართველოში რუსულ ბიზნეს მფლობელობასთან – დაკავშირებულ რისკებს.

გრაფიკი 1. ქართულ ეკონომიკაში რუსული ბიზნეს მფლობელობის მაჩვენებელი 2023 წლის ივნისის მდგომარეობით.

სექტორი	მფლობელობის ანალიზი
ელექტროენერგია	ელექტროენერგიის სექტორში რუსული ბიზნესების არსებობა შეინიშნება სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ელექტროენერგიის წარმოების, ისე ელექტროენერგიის მიწოდების, გადაცემისა და ელექტროენერგიის ვაჭრობის მიმართულებით (მაგალითად, რუსული „ინტერ რაო“ ფლობს „თელმიკოს“, რომელიც საქართველოს დედაქალაქის ერთადერთი ენერგომიმწოდებელია).
ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორი	საქართველოს ნავთობის ბაზრის ტოპ ხუთი ოპერატორიდან ერთ-ერთი რუსულ მფლობელობაშია. კიდევ ერთი კომპანია, რომელსაც, მათს შორის, აქვს წილი ფოთის ნავთობტერმინალში, რუსულ მფლობელობაში იყო 2022 წლის მაისამდე.
კომუნიკაციები	საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო ბაზრის 25%-ს განაგებს რუსეთის მოქალაქეობის მქონე ქართველი ბიზნესმენი. სიდიდით მესამე ფიჭური საკომუნიკაციო კომპანია კი რუსულ მფლობელობაში იყო 2022 წლის მაისამდე.
სასარგებლო წიაღისეული და მინერალური წყლები	სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალური წყლების სექტორში რუსულ მფლობელობაშია ლიცენზიის მფლობელი შვიდი კომპანია (მაგალითად, “აი დი ეს ბორჯომი“).

წყარო: IDFI, 2023.

ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის ამგვარი კონცენტრაცია რამდენიმე საფრთხესთანაა დაკავშირებული.

ბიზნესში უცხოური კაპიტალის არსებობა, როგორც წესი, საფრთხეს არ აჩენს, თუ ბიზნესს მტრულად განწყობილი სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ფლობს (იხ. Larson and Marchik, 2006). რუსეთი კი საქართველოს მიმართ ერთმნიშვნელოვნად მტრულად განწყობილი ქვეყანაა. ბიზნეს სუბიექტების ფლობა კრემლისთვის მავნე ზეგავლენის გავრცელების მძლავრი იარაღია. ამდენად, კრემლთან ასოცირებული სუბიექტების მხრიდან ბიზნესების ფლობა ზიანის მომტანია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის (იხ. Conley et al., 2016). კრემლთან დაკავშირებული კომპანიების ან ინდივიდების მხრიდან ბიზნესების ფლობის რისკების აღქმა არსებითად გაამწვავა რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის წამოწყებამ. აღნიშნული სულისკვეთება, მაგალითად, აისახა ევროკომისიის მიერ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მიმართ გაცემულ ბოლოდროინდელ რეკომენდაციაში რუსული კაპიტალის რისკებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ქართულ ბიზნესში რუსული მფლობელობა პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ ის კონცენტრირებულია კრიტიკულად მნიშვნელოვან სექტორებსა და ინფრასტრუქტურაში. საქართველოში არ არსებობს კრიტიკული მნიშვნელობის სექტორებისა და ინფრასტრუქტურის საკანონმდებლო განმარტება, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (მაგ., იხილეთ შესაბამისი განმარტებები ევროკავშირში, გერმანიაში, კანადასა და ავსტრალიაში), სულ მცირე, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ინდუსტრიები აკმაყოფილებს კრიტიკული მნიშვნელობის სექტორების კრიტერიუმებს. ამგვარი ინდუსტრიები მთელი რიგი შიდა და გარე საფრთხეების რისკის წინაშე დგას (კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საფრთხეების აღწერა

იხილეთ აქ). ცნობილია, რომ კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია და პირველადი სერვისების მიწოდების შეფერხება, რამაც, შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ქართულ ეკონომიკაში რუსული ბიზნეს მფლობელობით გამოწვეული რისკები

საქართველოში რუსეთის მოქალაქეების ან რუსული კომპანიების მიერ ბიზნეს აქტივების ფლობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია შესაბამისი პოლიტიკის გადაწყვეტების შესამუშავებლად. ქვემოთ მოცემულია ექვსი ასეთი რისკი.

პოლიტიკური ზეგავლენა

რუსეთის პოლიტიკური და ბიზნეს ელიტების მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით, რთულია მათი მიზნებისა და მოტივების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამდენად, ქართულ ეკონომიკაში ბიზნეს აქტივების ფლობა რუსეთს საშუალებას მისცემს გაზარდოს თავისი პოლიტიკური ზეგავლენა საქართველოზე. რუსეთის საკუთრებაში არსებული ბიზნესის წარმომადგენლებს მჭიდრო პოლიტიკური და საქმიანი კავშირები აქვთ რუსული პოლიტიკური ელიტის სანქცირებულ წარმომადგენლებთან, ან თავად არიან სანქცირებულნი. მაგ., შპს „აი დი ეს ბორჯომის“ მეწილე, მიხაილ ფრიდმანი, რუსეთ-უკრაინის ომის დროს რუსეთის მხარდაჭერისთვისაა სანქცირებული. ამგვარი კავშირები წარმოშობს რუსეთის მხრიდან საქართველოზე ირიბი პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის საფრთხეს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა დააზიანოს ქვეყნის დასავლური მისწრაფებები.

კორუფციული პრაქტიკების ექსპორტი

ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის არსებობით გამოწვეული კიდევ ერთი საფრთხე კორუფციული პრაქტიკების ექსპორტირებას უკავშირდება. ამ კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე საფრთხე, მათ შორის, „მბრუნავი კარის“ შემთხვევები (მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეთა გადასვლა კერძო სექტორის მაღალ თანამდებობებზე ან პირიქით), გადასახადებისგან თავის არიდების ან სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ბოროტად გამოყენების მაგალითები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის მიხედვით, ქვეყანაში დაფიქსირებული „მბრუნავი კარის“ შემთხვევებიდან ერთ-ერთი უკავშირდება შპს „ინტერ რაო ჯორჯიას“ – ელექტროენერგიით მოვაჭრე ფირმას – და მის მარეგულირებელ სახელმწიფო კომპანიას, „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს (ესკო)“. შპს „ინტერ რაო ჯორჯიას“ რეგისტრაციიდან ერთ დღეში ხსენებულ კომპანიაში ხელმძღვანელ პოზიციაზე დაინიშნა ესკოს დირექტორი. გარდა ამისა, რეგიონში ფიქსირდება რუსული კომპანიების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტებიც, მაგ. სომხეთში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კორუფციული პრაქტიკების ექსპორტირების საფრთხეს. მიგვაჩნია, რომ მსგავსმა შემთხვევებმა, შესაძლოა, დააზიანოს ქართული ბიზნეს გარემო და საფრთხე შეუქმნას საქართველოში შემომავალ საერთაშორისო ინვესტიციებს.

ეკონომიკური მანიპულაცია

უცხოური კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია კრიტიკული მნიშვნელობის სექტორებში (მაგ.,

ენერგეტიკის, კომუნიკაციის ინდუსტრიებში) ქმნის უცხოური აქტორების მიერ ეკონომიკური ინსტრუმენტებით, მაგ., ფასებით, მანიპულაციის რისკს. სომხეთის ბუნებრივი აირის სექტორში ჭარბი რუსული კაპიტალის არსებობით გამოწვეული რუსული მანიპულაციური ქმედებები აღნიშნული საფრთხის ერთ-ერთი მაგალითია. რუსეთმა სომხეთის მიმართ გაზის ფასებით მანიპულაცია (გაზის ფასის ზრდა) მას შემდეგ დაიწყო, რაც სომხეთმა ევროკავშირისკენ მისწრაფებების შესახებ საჯაროდ განაცხადა, და ფასები მხოლოდ სომხეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების შემდეგ დასწია (იხ. Terzyan, 2018).

ჯაშუშობა

საქართველოში რუსულ ბიზნეს მფლობელობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი, პოტენციური საფრთხეა სხვადასხვა სახის ჯაშუშობა, მათ შორის, ეკონომიკური თუ კიბერ-ჯაშუშობა. რუსული ბიზნესი შეიძლება იქცეს ისეთ არხად, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა საქართველოდან რუსეთის სადაზვერვო სამსახურებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდოს. მაგალითად, 2022 წელს, შვედური ელექტრონული მოწყობილობებით მოვაჭრე კომპანიის მფლობელსა და რუსეთის ყოფილ რეზიდენტს ბრალი წარედგინა რუსეთის სადაზვერვო სააგენტოებისთვის საიდუმლო ეკონომიკური ინფორმაციის გადაცემაში. გარდა ამისა, რუსეთი კიბერ-ჯაშუშობას იყენებს ისეთი დეზინფორმაციული კამპანიების ორგანიზებისთვის, რომელთა მიზანიც საზოგადოებრივ აზრსა და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენაა, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს.

დივერსია

რუსული კაპიტალის არსებობა ქართულ ბიზნესში ზრდის დივერსიისა და კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის შეფერხების რისკებს. რუსეთს სხვადასხვა ქვეყანაზე თავდასხმის მიზნით დივერსიული ქმედებები არაერთხელ განუხორციელებია. ასეთი შემთხვევა საქართველოში 2006 წელს დაფიქსირდა, როცა რუსეთმა მიზანმიმართულად შეწყვიტა საქართველოს ენერგომომარაგება. აქვე მნიშვნელოვანია ვახსენოთ კახოვკას კაშხლის აფეთქება უკრაინაში, რასაც მძიმე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები მოჰყვა. აღნიშნული ინციდენტები კარგად ასახავს კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის დაზიანებით გამოწვეული კასკადური ეფექტის რისკს.

სანქციები და მათი თავიდან აცილება

საქართველოში რუსეთის მფლობელობაში არსებული კომერციული სუბიექტები დასავლური ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების საფრთხის წინაშე დგანან, რაც საქართველოსთვის დამატებით რისკებს წარმოშობს. ახლახან, შპს „აი დი ეს ბორჯომისა“ და „ვითიბი ბანკ საქართველოსთვის“ დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა წინაშეც დგას საქართველო. სექტორები, რომლებშიც აღნიშნული ბიზნეს სუბიექტები საქმიანობენ, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის. ამ ინდუსტრიებს აქვთ მუშახელის მაღალი დასაქმების პოტენციალი. ამდენად, აღნიშნული სექტორების არასტაბილურობამ შესაძლოა სოციალური და პოლიტიკური საფრთხეები წარმოშვას. აგრეთვე, არსებობს რისკი, რომ ხსენებული ბიზნეს-სუბიექტების გავლით, რუსეთი თავს

აარიდებს სანქციებს და წვდომა ექნება ორმაგი გამოყენების რესურსებსა და ტექნოლოგიებზე. საქართველოსთვის არსებითია სანქციებთან დაკავშირებული ამგვარი რისკების თავიდან არიდება.

რისკების შეფასება

კვლევის შედეგებისთვის მეტი სიცხადის მისანიჭებლად, ჩავატარეთ გამოკითხვა უსაფრთხოების, ეკონომიკის და ენერგეტიკის სექტორებში მოღვაწე ქართველ ექსპერტებთან. რისკების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის არსებობის შედეგად გამოწვეული ყველაზე მწვავე რისკი პოლიტიკური ზეგავლენაა. აღნიშნულს მოსდევს კორუფციის, სანქციების დაკისრებისა და მათი თავიდან არიდების, აგრეთვე, ეკონომიკური მანიპულაციისა და დივერსიის რისკები. გამოკითხულ ექსპერტებს ვთხოვეთ თითოეული გამოვლენილი რისკის სიმწვავის დონის შეფასება. აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანის სიმწვავე შესამჩნევად მაღალია.

რეკომენდაციები

ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებების გათვალისწინებით ნათელია, რომ რუსეთი საქართველოსთვის საფრთხის წარმომქმნელი აქტორია. კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურასა და სექტორებში რუსული კაპიტალის კონცენტრაციის მასშტაბის გათვალისწინებით, საჭიროა სპეციალური პოლიტიკური რეჟიმის შემოღება აღნიშნული რისკების რეგულირებისა და შემცირებისთვის. ამ მიზნების მისაღწევად, ეფექტური იქნება მოცემული სამი რეკომენდაციის შესრულება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის დანერგვის ზეგავლენის შესწავლა

რუსული კაპიტალის არსებობასთან დაკავშირებული საფრთხეების შესამცირებლად აუცილებელია არსებული საინვესტიციო პოლიტიკა დაკორექტირდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის შემოღების გზით. მსგავსი მექანიზმი დანერგილია მთელ რიგ ქვეყნებში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ UNCTAD-ის ბოლო ანგარიში). მათ სამიზნეს წარმოადგენს ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებსაც ნეგატიური გავლენა აქვს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. როგორც წესი, ამგვარი კონტროლი ხორციელდება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელიც განიხილავს შერჩეულ, პოტენციურად საფრთხის შემცველ ინვესტიციას. განხილვის შედეგად ინვესტიცია შესაძლოა დადასტურდეს, დროებით შეჩერდეს ან აიკრძალოს. საქართველოს შემთხვევაში ასეთი ტიპის მექანიზმის შემუშავებისას ყურადღება რამდენიმე საკითხზე უნდა გამახვილდეს. პირველ რიგში, დასადგენია მექანიზმის სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული ქვეყნიდან (მაგ. რუსეთიდან) შემომავალი ინვესტიციები თუ ყველა შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. გარდა ამისა, გადასაწყვეტია, ხომ არ არის აუცილებელი მხოლოდ იმ ინვესტიციების შემოწმება, რომლებიც კრიტიკული მნიშვნელობის სექტორებსა და ინფრასტრუქტურაში ხორციელდება. მნიშვნელოვანია ინვესტიციის მოცულობის გათვალისწინებაც, რადგან შესაძლოა მხოლოდ ის ინვესტიციები შემოწმდეს, რომელთა მოცულობაც აღემატება დადგენილ რაოდენობას. აქვე, არსებითია გავითვალისწინოთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოწმების მექანიზმის დანერგვა

შესაძლოა მაღალხარჯიანი აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის. სწორედ ამიტომ, მოცემულ დოკუმენტში რეკომენდირებულია, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის დანერგვით გამოწვეული პოტენციური შედეგების (სარგებლისა და დანახარჯის) სიღრმისეული შესწავლა.

რუსეთის საკუთრებაში არსებულ ბიზნეს აქტივებთან დაკავშირებული რისკების განხილვა უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში

ეროვნულ დონეზე უსაფრთხოება რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტით რეგულირდება, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტია საქართველოსთვის. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მიმოხილული საქართველოში რუსული ბიზნეს მფლობელობის ან კაპიტალის კონცენტრაციასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეები. უსაფრთხოების სტრატეგიულ დოკუმენტებში რუსეთის საკუთრებაში არსებულ ბიზნეს აქტივებთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვას გადამწყვეტი როლი ექნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისათვის.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეფორმის დანერგვის წახალისება ინკლუზიური პროცესის მეშვეობით

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის წარმატებით დასანერგად აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა კრიტიკული ინფრასტრუქტურის განმარტებისა და დაცვის შესახებ. ამ მხრივ არსებითია, რომ საქართველოში არსებობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეფორმის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განმარტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის შემოღებას. სწორედ ამიტომ, რეკომენდაციას ვუწევთ ქვეყანაში აღნიშნული რეფორმის დანერგვის პროცესის წახალისებას.

დასკვნა

მოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოს ეკონომიკის ოთხ სექტორში (ენერგეტიკა, კომუნიკაციები, ნავთობი და ბუნებრივი აირი, სამთო მოპოვება და მინერალური წყლები) რუსული კაპიტალისა და ბიზნეს მფლობელობის არსებობასთან დაკავშირებული ექვსი ძირითადი რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არ არსებობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის განმარტებისა და დაცვის სამართლებრივი ბაზა, საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ ის ინდუსტრიები, რომლებშიც საქართველოში რუსული კაპიტალია კონცენტრირებული, შეგვიძლია მოვიაზროთ კრიტიკული მნიშვნელობის სექტორებად. რუსეთის მტრული განზრახვებისა და მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ ბიზნეს კაპიტალის ფლობასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით, წარმოდგენილ დოკუმენტში რეკომენდებულია საქართველოს ეკონომიკაში რუსული კაპიტალის შემოდინების რეგულირება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტროლის მექანიზმის დანერგვის გზით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რუსეთის საკუთრებაში არსებულ აქტივებთან დაკავშირებული რისკების შეფასება უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში და, აგრეთვე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეფორმის დანერგვის წახალისება.

გამოყენებული ლიტერატურა

Babych, Y. (2023). The Georgian Economy after One Year of Russia's War in Ukraine: Trends and Risks. Retrieved from ISET Policy Institute: https://iset-pi.ge/storage/media/other/2023-03-13/6982ed30-c1ad-11ed-896a-efa0ef78cee7.pdff

Conley, H. A., Mina, J., Stefanov, R., & Vladimirov, M. (2016). The Kremlin Playbook: Understanding Russian Influence in Central and Eastern Europe. Retrieved from Center for Strategic and International Studies: https://csis-website-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/publication/1601017_Conley_KremlinPlaybook_Web.pdf

Institute for Development of Freedom of Information (IDFI). (2023, June). Russian Capital and Russian Connections in Georgian Business. Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/public/upload/Analysis/Russian%20capital%20and%20Russian%20connections%20in%20Georgian%20business.pdf

Kavtaradze, N. (2023). Hybrid Warfare and Russia's Modern Warfare. Retrieved from Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS): https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/201-expert-opinion-eng.pdf

Larson, A. P., & Marchik, D. M. (2006). Foreign Investment and National Security. Retrieved from ETH Zurich: https://www.files.ethz.ch/isn/20513/2006-07_ForeignInvestmentCSR.pdf

Organization for Economic Co-operation and Development (OECD). (2008). Protection of 'Critical Infrastructure' and the Role of Investment Policies Relating to National Security. Retrieved from oecd.org: https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/40700392.pdf

Seskuria, N. (2021). Russia's "Hybrid Agression" against Georgia: The Use of Local and External Tools. Retrieved from Center for Strategic and International Studies: https://csis-website-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/publication/210921_Seskuria_Russia_Georgia.pdf?VersionId=__d9rw2TtaDba9xaHASf6lCEmJ.oqhA7

Terzyan, A. (2018). The anatomy of Russia’s

grip on Armenia: Bound to Persist? Retrieved from econstor.eu: https://www.econstor.eu/bitstream/10419/198543/1/ceswp-v10-i2-p234-250.pdf

Transparency International Georgia. (2023). Georgia's Economic Dependence on Russia: Impact of the Russia-Ukraine War. Retrieved from Transparency International Georgia: https://transparency.ge/en/post/georgias-economic-dependence-russia-impact-russia-ukraine-war-1

გიორგი პაპავა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
g.papava@iset.ge
www.iset-pi.ge

გიორგი პაპავა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი და კერძო სექტორის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია. გიორგი ფლობს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. ISET-ის კვლევით ინსტიტუტში საქმიანობის დაწყებამდე თანამშრომლობდა არაერთ საკონსულტაციო თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ეკონომიკური კონსულტანტის რანგში. გიორგი CERGE-EI-ის კარიერული ინტეგრაციის სტიპენდიანტია (CIF) და ამჟამად ISET-ში ასწავლის. მისი კვლევითი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობა, ინდუსტრიული ორგანიზაცია, პოლიტიკური ეკონომიკა, საჯარო პოლიტიკა და მონეტარული ეკონომიკა.

ლევან თევდორაძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
levan.tevdoradze@iset.ge
www.iset-pi.ge

ლევან თევდორაძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის კერძო სექტორის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსი მკვლევარია. ლევანი ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხს. აქვს საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო და სამთავრობო ინსტიტუტთან თანამშრომლობის გამოცდილება. ლევანიც CERGE-EI-ის კარიერული ინტეგრაციის სტიპენდიანტია (CIF) და ამჟამად ISET-ში ასწავლის. მისი კვლევითი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დემოკრატია, პოლიტიკური ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა.

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE Network) არის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი, რომელიც აერთიანებს შემდეგ კვლევით ორგანიზაციებს: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR (მოსკოვი), CenEA (შჩეცინი), KEI (კიევი), SITE (სტოკჰოლმი). FREE Network-ის ყოველკვირეული კვლევითი დოკუმენტების სერია მკითხველებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების კვლევაზე დაფუძნებულ ანალიზს. კვლევით დოკუმენტებსა და სხვა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ავტორების პოზიციას გამოხატავს და შეიძლება არ ასახავდეს FREE Network-ისა და მისი კვლევითი ინსტიტუტის პოზიციას.